<u>უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი</u>

ელექსირი ჰაერისა და ზედაპირების დეზინფექტანტი - PT 2

ნაწილი 1: ნივთიერების / ნარევისა და კომპანიის/პასუხისმგებელი პირის იდენტიფიკაცია

1.1. პროდუქტის იდენტიფიკატორი სავაჭრო სახელწოდება: ელექსირი

ჰაერისა და ზედაპირების დეზინფექტანტი

მწარმოებელი/მომწოდებელი: შპს ელექსირი საქართველო, საქართველო, თბილისი, ჰუალინგი თბილისის ზღვის პლაზა, პავილიონი A2 ტელეფონი : +995 322 033 233 საბაჟო კოდი: HS 3808 94 900 00

1.2. ნივთიერების ან ნარევის შესაბამისი მიზნობრივი და რეკომენდებული გამოყენების სფეროები. რეკომენდებულია: ზედაპირების, მასალების, ტერიტორიის, შენობების შიდა სივრცის, მოწყობილობებისა და ჰაერის დეზინფექციისთვის.

ფრთხილად გამოიყენეთ ბიოციდები. გამოყენებამდე ყოველთვის წაიკითხეთ ეტიკეტზე დატანილი ინფორმაცია. უსაფრთხოების ეს მონაცემემთა ფურცელი შეიცავს ძირითად ინფორმაციას ქიმიური ნივთიერებების შემადგენლობის შესახებ, მაგრამ კონკრეტული ინსტრუქციები და მითითებები დატანილია პროდუქტის ეტიკეტსა და გამოყენების ინსტრუქციაზე. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს www.elixir.ge
მომწოდებელი: შპს ელექსირი საქართველო, ჰუალინგი თბილისის ზღვის პლაზა, პავილიონი A2 თბილისი, საქართველო.

ტელეფონი : +995 322 033 233

1.4. საგანგებო შემთხვევებისთვის გამოიყენეთ შემდეგი ნომერი: +995 322 033 233

საგანგებო შემხვევებისთვის ტელეფონის ნომერი ხელმისაწვდომია ყოველდღე, საქართველოს დროით 09:00 საათიდან 18:00 საათამდე.

ნაწილი 2: საფრთხის იდენტიფიკაცია

CLP-კლასიფიკაცია (რეგულაცია (EC) No 1272/2008):

ევროკავშირის მიერ დადგენილი კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების წესების თანახმად პროდუქტი არ კლასიფიცირდება, როგორც საშიში ნივთიერება.

რისკები გადაყლაპვის შემთხვევაში: ხსნარის გადაყლაპვამ შეიძლება გამოიწვიოს ყელისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის გაღიზიანება.

ნაწილი 3: შემადგენლობა და ინფორმაცია კომპონენტების შესახებ

პროდუქტი შეიცავს აქტიური ქლორის ნაერთებს, როგორიცაა HOCl (FAC მგ/ლ-ში ან ppm-ში) 0,10%-0,01% დიაპაზონში. ტოქსიკური ნაერთების (67/548 / EWG) რეგულაციების შესაბამისად ხსნარი არ შეიცავს მინარევებს.

შემადგენლობა	CAS-No	EC-No.	წონა/მოც.%	სიმბოლოები
ქვექლოროვანი მჟავა	7790-92-3	232-232-5	0.02%	HOCl
ელექტროაქტივირებული წყალი	7732-18-5	231-791-2	99.98%	H20

ნაწილი 4: გადაუდებელი დახმარების ზომები

4.1. პირველადი სამედიცინო დახმარების აღწერა

სასუნთქ გზებში მოხვედრისას:	ეცადეთ იყოთ სუფთა ჰაერზე. გართულების შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას.
გადაყლაპვის შემთხვევაში:	დალიეთ 1-2 ჭიქა წყალი მცირე ყლუპებით. გართულების შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას.
თვალში მოხვედრისას:	ჩამოიბანეთ წყლით, სანამ გაღიზიანება არ ჩაცხრება. გართულების შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას.

დამატებითი ინფორმაცია: ექიმთან კონსულტაციისას წარადგინეთ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ან პროდუქტის ეტიკეტი.

4.2. მნიშვნელოვანი სიმპტომები, როგორც მყისიერი ისე მოგვიანებითი შეიძლება გამოიხატოს კანისა და თვალების მცირე გაღიზიანებით.

4.3. სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროება და განსაკუთრებული მკურნალობა. სპეციალური დაუყოვნებელი მკურნალობა არ არის საჭირო.

ნაწილი 5: ხანძარსაწინააღმდეგო ზომები

5.1. ჩაქრობის საშუალებები:

შესაფერისი ჩაქრობის საშუალება: პროდუქტი არ არის პირდაპირ აალებადი. შეარჩიეთ ხანძრის ჩაქრობის მეთოდი გარემო პირობებიდან გამომდინარე. არ არის სასურველი წყლის ნაკადის გამოყენება, რადგან ამან შეიძლება ცეცხლი მეტად გაავრცელოს.

5.2. პროდუქტში შემავალი ნივთიერებები ან ნარევები არ არის პირდაპირ აალებადი. მოერიდეთ ორთქლისა და კვამლის ჩასუნთქვას. ეცადეთ იყოთ სუფთა ჰაერზე..

5.3. რჩევები მეხანძრეებისთვის ატარეთ თვითკმარი სუნთქვის აპარატი (SCBA) ქიმიური რეზისტენტული ხელთათმანებით.

ნაწილი 6: შემთხვევით დაღვრისას /გაფრქვევისას მისაღები ზომები

6.1. პირადი სიფრთხილის ზომები, დამცავი მოწყობილობები და გადაუდებელი დახმარების პროცედურები პერსონალისთვის: ატარეთ ხელთათმანები.

გადაუდებელი დახმარების პერსონალისთვის: ზემოთქმულის გარდა: რეკომენდებულია დამცავი ტანსაცმელი, რომელიც ექვივალენტურია EN 469- ისა.

6.3. ნივთიერების შენახვისა და დასუფთავების მეთოდები

შესაძლებელია დაღვრილი ხსნარის ქვიშით ან სხვა შთამნთქმელი მასალის მეშვეობით შეწოვა, შემდგომ მისი გადატანა შესაბამის ნარჩენების ჭურჭელში. მცირე რაოდენობით დაღვრილი ხსნარი გაამშრალეთ ქსოვილით.

6.4. მითითება სხვა ნაწილებზე იხილეთ ნაწილი 8

დამცავი აღჭურვილობის სანახავად.

ნაწილი 7: შენახვისა და გამოყენების პირობები

7.1. უსაფრთხოების ზომები

წყალი და თვალის ჩამოსაბანი საშუალებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველგან. დაიბანეთ ხელები შესვენებამდე, საპირფარეშოს გამოყენებამდე და მუშაობის დასრულების შემდეგ.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები

შეინახეთ მშრალ, გრილ, კარგად ვენტილირებად ადგილას, ვენტილირებად პლასტმასის ჭურჭელში და დარწმუნდით, რომ ხსნარი სწორად არის ეტიკეტირებული. ნუ დალუქავთ კონტეინერებს მთლიანად, დარწმუნდით, რომ ავზიდან ნებისმიერი სახის გაზს აქვს უსაფრთხოდ გამოსვლის საშუალება. ვარგისიანობის ვადა: დაახლოებით 12 თვე. ამისათვის შეინახეთ მჭიდროდ დახურულ ორიგინალ შეფუთვაში / ბოთლში.

ნაწილი 8: ექსპოზიციის კონტროლი / პერსონალის ინდივიდუალური დაცვა

8.1. კონტროლის პარამეტრები

იურიდიული საფუძველი: დირექტივა 2000/39 / EC, შემდგომში შესწორებული. არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ექვემდებარება რეპორტინგის/ანგარიშგების მოთხოვნებს.

8.2. ექსპოზიციის კონტროლი

შესაბამისი საინჟინრო კონტროლი: ატარეთ ქვემოთ მითითებული პირადი დამცავი აღჭურვილობა. თვალის / სახის დამცავი საშუალებები: დამცავი სათვალე, თუკი თვალში შესხმის საშიშროება არსებობს. თვალის დამცავი უნდა შეესაბამებოდეს EN 166-ს პირადი დამცავი აღჭურვილობა, კანის დაცვა: რეკომენდებულია პლასტიკური ან რეზინის ხელთათმანები. ხელთათმანები უნდა შეესაბამებოდეს EN 374-ს.

პირადი დამცავი მოწყობილობა, რესპირატორული დაცვა: არ არის საჭირო ნეიტრალური pH– ის დროს, საჭიროა მაშინ თუ pH ნაკლებია 5-ზე.

გარემოზე ზემოქმედების კონტროლი: უზრუნველყოფილი უნდა იქნას ემისიების ადგილობრივი რეგულაციების დაცვა.

ნაწილი 9: ქიმიური და ფიზიკური თვისებები

9.1. ინფორმაცია ძირითადი ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესახებ

სახეობა:	თხევადი
ფერი:	უფერო, გამჭირვალე სითხე
სუნი:	ხასიათდება მსუბუქი ქლორის სუნით

სუნის ბარიერი:	მონაცემები არ არის
pH (გამოსაყენებელი ხსნარი):	მონაცემები არ არის
pH (დიაპაზონი):	6.5-8.5
დნობის / გაყინვის წერტილი:	0^0 C.
დუღილის საწყისი წერტილი და დუღილის დიაპაზონი:	100^0 C
მინიმალური ტემპერატურა:	მონაცემები არ არის
აორთქლების სიჩქარე:	მონაცემები არ არის
აალება	მონაცემები არ არის
აალებადობის ზედა/ქვედა საზღვრები:	მონაცემები არ არის
ფეთქებადობის ზედა/ქვედა საზღვრები	მონაცემები არ არის
ორთქლის წნევა:	2.33 პა
ორთქლის სიმჭიდროვე:	მონაცემები არ არის

ფარდობითი სიმჭიდროვე:	1
ხსნადობა:	წყალში ხსნადობა: მთლიანად ხსნადი
დანაყოფი კოეფიციენტი:	მონაცემები არ არის
n- ოქტანი / წყალი:	მონაცემები არ არის
ავტომატური აალების ტემპერატურა:	მონაცემები არ არის
დეკომპოზიციის ტემპერატურა:	მონაცემები არ არის
სიბლანტე:	მონაცემები არ არის
ფეთქებადი თვისებები:	მონაცემები არ არის
ჟანგვითი თვისებები:	მონაცემები არ არის

9.2. სხვა ინფორმაცია: None

ნაწილი 10: სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1. რეაქტიურლობა: არ არის ცნობილი რეაქტიულობის რისკები ჩვეულებრივი შენახვისა და გამოყენების პირობებში.

10.2. ქიმიური მდგრადობა: პროდუქტი სტაბილურია, მომწოდებლის მიერ მითითებული შენახვისა და გამოყენების პირობებში.

10.3. საშიში რეაქციები: სტაბილურია სტანდარტული შენახვისა და გამოყენების პირობებში.

10.4. პირობები, რომლებიც თავიდან უნდა ავიცილოთ: არ არის განსაზღვრული.

10.5. შეუთავსებელი მასალები: არ არის ცნობილი.

10.6. საშიში გამოყენების სფეროები: სტაბილურია სტანდარტულ შენახვისა და გამოყენების პირობებში.

ნაწილი 11: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

მწვავე ტოქსიკურობა - დიდი რაოდენობით მიღებამ შეიძლება დისკომფორტი გამოიწვიოს. პროდუქტის კლასიფიკაცია არ არის საჭირო. ტესტის მონაცემები მიუწვდომელია.

მწვავე ტოქსიკურობა - კანზე ემოხვედრისას: პროდუქტის კლასიფიკაცია არ არის საჭირო. ტესტის მონაცემები მიუწვდომელია.

მწვავე ტოქსიკურობა - ჩასუნთქვის შემთხვევაში : პროდუქტის კლასიფიკაცია არ არის

საჭირო. ტესტის მონაცემები მიუწვდომელია.

კანის გაღიზიანება: შეიძლება გამოიწვიოს მცირე გაღიზიანება. პროდუქტის კლასიფიკაცია არ არის საჭირო. ტესტის მონაცემები მიუწვდომელია.

თვალის ძლიერი დაზიანება / თვალის გაღიზიანება: შეიძლება გამოიწვიოს თვალის გაღიზიანება. პროდუქტის კლასიფიკაცია არ არის საჭირო. ტესტის მონაცემები მიუწვდომელია.

რესპირატორული / კანის სენსიბილიზაცია: პროდუქტის კლასიფიკაცია არ არის საჭირო. ტესტის მონაცემები მიუწვდომელია.

ჩანასახოვანი უჯრედების მუტაგენურობა: არ არის ტოქსიკური და არ არის მუტაგენური.

კანცეროგენული თვისებები: პროდუქტი არ არის კლასიფიცირებული, როგორც კანცეროგენული.
რეპროდუქციული ტოქსიკურობა: პროდუქტის კლასიფიცირება არ არის საჭირო.
კვლევის მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის.

სამიზნე ორგანოს სპეციფიკური ტოქსიკურობა: ინჰალაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ზედა სასუნთქი გზების გაღიზიანება. პროდუქტის კლასიფიკაცია არ არის საჭირო. ტესტის მონაცემები მიუწვდომელია.

სამიზნე ორგანოს სპეციფიკური ტოქსიკურობა / განმეორებითი ზემოქმედება: ასპირაციის საშიშროება: მონაცემები ცნობილი არ არის სხვა ტოქსიკოლოგიური ეფექტები: არ არის

განსაზღვრული.

ნაწილი 12: ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1. ტოქსიკურობა: პროდუქტის კლასიფიკაცია არ არის საჭირო. ტესტის მონაცემები

მიუწვდომელია.

12.2. პერსისტენტულობა და დაშლადობა: არის ბიოდეგრადირებადი.

ტესტის მონაცემები მიუწვდომელია.

12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი: არ არის მოსალოდნელი ბიო დაგროვება. ტესტის მონაცემები

მიუწვდომელია.

12.4. მობილობა ნიადაგში: ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

12.5 PBT და vPvB შეფასების შედეგები: პროდუქტი არ შეიცავს PBT ან vPvB ნივთიერებებს.

12.6. სხვა გვერდითი მოვლენები ცნობილი არ არის.

ნაწილი 13: ნარჩენების მოცილების / უტილიზაციის რეკომენდაციები

13.1. ნარჩენების დამუშავების მეთოდები: დიდი რაოდენობით კონცენტრირებული ნარჩენების გადინება სადრენაჟეებში არ არის რეკომენდებული. დაუკავშირდით ადგილობრივ ხელისუფლებას. EWC კოდი: ეს დამოკიდებულია ბიზნესის საქმიანობასა და გამოყენებაზე, მაგალითად, 16 03 04. არაორგანული ნარჩენები, გარდა 16 03 03-ში აღნიშნულისა.

ნაწარმით გაჟღენთილი ქსოვილი: EWC კოდი: 15 02 03 შთამნთქმელი, ფილტრაციის მასალები, მოსაწმენდი ტილოები და დამცავი ტანსაცმელი, გარდა 15 02 02 – ში აღნიშნულისა. ცარიელი, გაწმენდილი შეფუთვა უნდა გადამუშავდეს.

ნაწილი 14: ინფორმაცია ტრანსპორტირების შესახებ

პროდუქტი არ არის საშიში ტრანსპორტირებისას.

14.1. გაეროს ნომერი - N / A

14.2. გაეროს შესაბამისი გადაზიდვის სახელი - N / A

14.3. ტრანსპორტირების საფრთხის კლასი (ები) - N / A
14.4. Packing group - N/A14.4

14.5 ეკოლოგიური საფრთხეები - N / A

14.6. განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები მომხმარებლისთვის - N / A

14.7. ტრანსპორტირება MARPOL73 / 78 დანართის II და IBC კოდექსის შესაბამისად - N / A

2012 წლის 22 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) No 528/2012

ბიოციდური პროდუქტების ბაზარზე ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ.

ნაწილი 15 : მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1. ნივთიერებასა და ნარევზე განსაზღვრული უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და

გარემოსდაცვითი რეგულაციები - არ არის განსაზღვრული

15.2. ქიმიური უსაფრთხოების შეფასება - ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ ჩატარებულა.

ნაწილი 16: დამატებითი ინფორმაცია

კლასიფიკაციის მეთოდი: გაანგარიშება ცნობილი კომპონენტების საშიშროების საფუძველზე.

სხვა ინფორმაცია:

პროდუქტი არ იწვევს კანის გაღიზიანებას, არ არის გამაღიზიანებელი ლორწოვანი გარსებისა და რესპირატორული ტრაქტისთვის. იგი არ ავლენს კოროზიულ აქტივობას რბილი ლითონის, რეზინის და შუშის მასალის მიმართ. პროდუქტი არ ტოვებს ლაქებს, არ აუფერულებს ტანსაცმელს და არ აზიანებს ტანსაცმლის ქსოვილს. პროდუქტი ჰიპოალერგიულია (არ იწვევს ალერგიას), ექსპოზიციის დროის გასვლის შემდეგ, დამუშავებული ზედაპირი არ საჭიროებს წყლით ჩამორეცხვას.

უსაფრთხოების ეს ფურცელი ეხება მხოლოდ ამ პროდუქტს. იგი ემყარება ჩვენს დღევანდელ ცოდნასა და ინფორმაციას. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მომზადებულია 1907/2006 / EC (REACH) რეგულაციის დაცვით.

© 2021, შპს ელექსირი საქართველო, ჰუალინგი თბილისის ზღვის პლაზა, პავილიონი A2, თბილისი, საქართველო